ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3726360

ნომერი: AR1555372

თარიღი : 07.11.2017

გაცემის თარიღი : 08.12.2017

გაცნობის თარიღი : 10.02.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ შავიშვილის ქუჩა N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- საკულტო ობიექტები
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: #199, #1951628
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 12.06.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ეკლესია, ბლოკი I/9
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ მინდიაშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს. "კათედრალი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204923360

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს „ოპტიმა საბურთალო“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405116725
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი ბურდილაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01025006212

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 725.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 688.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 552.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 435.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 117.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2295.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1827.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 468.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 19.61
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 19.16
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.45
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 149.0/0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 149.0/0.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 50.3*0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR1555372 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) გარდა, ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 და სატრანსპორტო ზონა 1. ამავე კანონმდებლობის მე- 19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) – წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: ა) განათების; ბ) სარწყავი სისტემის; გ) სარეკლამო ბილბორდის; დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის; ე) კიბეების, გზების, ბილიკების. ხოლო ამავე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა- ნაგებობებს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი საკულტო შენობა-ნაგებობის განთავსება არ არის დასაშვები სარეკრეაციო ზონა 1-სა და სატრანსპორტო ზონა 1-ში, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.